

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 07 მაისის N24/5 დადგენილებით დამტკიცებული „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დოქტორანტურის შესახებ დებულებაში“

ცვლილების შეტანის თაობაზე:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე:

მუხლი 1. თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 07 მაისის N24/5 დადგენილებით დამტკიცებული „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დოქტორანტურის შესახებ დებულებაში“ შეტანილ იქნეს ცვლილება:

1. მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის ე) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„4. ე) სადოქტორო კვლევის პროგრამის ხარჯთაღრიცხვის განხილვა ხორციელდება თსსუ-ის ეკონომიკური დეპარტამენტის მიერ, რომელსაც ამტკიცებს თსსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭო“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს დამტკიცებისთანავე.

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

რექტორი

ვიზა:

ვიცე-რექტორი

რ. ბერიაშვილი

იურიდიული სამსახურის უფროსი

მ. დუნდუა

სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის,
მაგისტრატურისა და დოქტორანტურის
სამსახურის უფროსი

ნ. ვეფხვაძე